საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი მისამართი: 6010, ქ. ბათუმი ნინოშვილის ქ., №35ტელ/ფაქსი: (+995222) 27 17 87 ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფინანსები და საბანკო საქმე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ფინანსების მაგისტრი
პროგრამის მოცულობა კრედიტებში	პროგრამა მოიცავს 120 *ECTS* კრედიტს, რომელიც შეადგენს 3000 საათს. 30 სამაგისტრო ECTS კრედიტი ეთმობა მაგისტრანტის კვლევით საქმიანობას, 5 ECTS კრედიტი-პროფესიულ პრაქტიკას. 80 *ECTS* კრედიტი ეთმობა საკონტაქტო სახის სწავლებას და მაგისტრანტის დამოუკიდებელ მუშაობას, 20 *ECTS* კრედიტი ეთმობა არჩევით დისციპლინებს, მათ შორის სწავლების პირველ სემესტრში 10 *ECTS* უცხო ენების ბლოკი განკუთვნილია პროგრამაზე ჩარიცხული ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის, ხოლო სხვა სპეციალობის ბაკალავრებისათვის რეკომენდებულია აირჩიონ 5-5 *ECTS* სასწავლო კურსები (რაოდენობრივი მეთოდები და ფინანსური აღრიცხვა), რომლებიც პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების ათვისებისათვის არის მნიშვნელოვანი პირობა. II-III სემესტრში მაგისტრანტი ირჩევს 5-5 *ECTS* სასწავლო კურსს, იმ მოსაზრებიდან გამომდინარე, რომელი მიმართულებით სურს სამეცნიერო მუშაობის გაგრძელება. საკონტაქტო სწავლება მიმდინარეობს პირველი 3 სემესტრი განმავლობაში, სემესტრში უნდა შესრულდეს30 *ECTS* .
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: ➢ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი; ➢ საერთო სამაგისტრო გამოცდა; ➢ შიდა საუნივერსიტეტო გამოცდები: უცხო ენა (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) - B2 დონე და სპეციალობა; ➢ მობილობის წესით (შიდა/გარე) ჩარიცხვა; ➢ უცხო ქვეყნის მოქალაქეები მიიღებიან ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, კანონმდებლობით დადგენილი წესით.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	მოაზადოს საფინანსო-საბანკო სფეროსათვის ღრმა თეორიული ცოდნით აღჭურვილი სპეციალისტი, რომელიც შეძლებს ფინანსური მენეჯმენტის წესებისა და ინსტრუმენტების გამოყენებით ჩაატაროს ფინანსური ანალიზი და მიიღოს მონაწილეობა კომპანიის საქმიანობის დაგეგმვაში, შეძლოს კორპორაციისა და ბანკის საქმიანობის ფინანსურ შედეგზე მოსალოდნელი რისკების რაოდენობრივი და თვისობრივი შეფასება და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება; მსოფლიო ფინანსური კრიზისების გავლენის შეფასება საფინანსო და არასაფინანსო ტიპის წარმოებას-ორგანიზაციებზე; ფინანსური სფეროს ცალკეული მიმართულების მიმართ ინტერესიდან გამომდინარე მიიღოს ღრმა ცოდნა უცხოეთის საბანკო, სადაზღვევო, საგადასახადო სისტემების ფუნქციონირების, საგადასახადო-საბაჟო რეგულირების, ინოვაციური საბანკო პროდუქტების ბაზარზე მიწოდების მეთოდების შესახებ; შეძლოს სამეცნიერო კვლევის ორგანიზაცია და პრობლემის დასმა და გადაწყვეტა; ხელი შეუწყოს მაღალი მოქალაქეობრივი შეგნების, ჰუმანიზმის, დემოკრატიის, ლიბერალური ღირებულების პრინციპების მატარებელი თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებას.

სწავლის შედეგები	აქვს ღრმა თეორიული ცოდნა ფინანსური ბაზრის მონაწილე ეკონომიკურ სუბიექტებს შორის ეფექტიანი ურთიერთკავშირის ჩამოსაყალიბებლად არსებული ვითარების ანალიზის ჩატარებისა და გადაწყვეტილების მიღებისათვის; აქვს ცოდნა ბიზნეს პროცესების ანალიზისა და დაგეგმვისათვის მათემატიკური მოდელირების მეთოდების გამოყენების შესახებ; აქვს ღრმა და სისტემური ცოდნა საერთაშორისო საფინანსო სისტემის რგოლების, გლობალიზაციის კონტექსტში საერთაშორისო ფინანსური ბაზრების ფუნქციონირების წესების, საერთაშორისო დაბეგვრისა და საერთაშორისო ფინანსების მართვის სპეციფიკის შესახებ; ცოდნა ფინანსური კრიზისების პირობებში საბანკო რეგულირების თეორიისა და პრაქტიკის შესახებ; აქვს ცოდნა საწარმოთა ფინანსების მართვაში წარმოქმნილი რისკების მართვის, ფინანსური მდგომარეობის ანალიზის მეთოდებისა და მოდელების შესახებ; შეუძლია საკუთრების სხვადასხვა ფორმის საწარმოთა ფინანსური მართვის

	სტრატეგიული ასპექტების გააზრება, ანგარიშგებათა კომპლექსურ–დეტალური ანალიზი, პროგნოზირება და ფინანსური მდგომარეობის სტრატეგიული დონის კონტროლი; არსებული ფინანსური კრიზისისა და მისი გამომწვევი რისკფაქტორების იდენტიფიცირება, ქვეყნისა და საბანკო სისტემაში არსებული პოსტკრიზისული პერიოდების შეფასება; საფინანსო - საბანკო სფეროსათვის დამახასიათებელი სისტემური და არასისტემური, საკრედიტო, ქვეყნის, საბაზრო და ა.შ რისკების ფინანსური შედეგების შეფასება, მართვის ოპტიმალური მეთოდების შერჩევა, საფინანსო და ეკონომიკური ბიზნეს პროცესების მართვაში მათემატიკური მოდელების გამოყენება; შეუძლია ინვესტიციების ეფექტიანობის ანალიზი. პირდაპირი და პორტფელური ინვესტიციების განხორციელების პროცესში მონაწილეობა;
შეფასების წესი	სტუდენტის შეფასება ხდება შემდეგი სახით: ა) (A) ფრიადი - 91 ქულა და მეტი; ბ) (B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა; გ) (C) კარგი - 71-80 ქულა; დ) (D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა; ე) (E) საკმარისი - 51-60 ქულა. (FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება ეძლევა დამატებით გამოცდაზე ერთხელ კიდევ გავიდეს. (F) ჩაიჭრა - 40 ქულის ან ნაკლების მიღებისას სტუდენტს საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.
საკონტაქტო პირი	პროგრამის ხელმძღვანელი: ასიე ცინცაძე, პროფესორი, ტელ: +995 593344155 ელ - ფოსტა: asie.tsintsadze@bsu.edu.ge